ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრავალჟამიერ, მრავალ ახალ წელს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 იანვარი, პარასკევი, 1988 წ.
№ 1 (9662) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ტელევიზიით მიმართა საბჭოთა ხალხს. ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის საახალწლო მიმართვაში ნათქვამია, რომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, 1987 წელი დაგვამახსოვრდა, უწინარეს ყოვლისა, როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის წელი. მთელი მსოფლიო ღირსეულად აფასებს ჩვენი რევოლუციის მნიშვნელობას, მის გავლენას მსოფლიო ცივილიზაციის ბედზე. ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით — ლენინის იდეები იმარჯვებს, რევოლუცია გრძელდება.

1987 წელი იყო ღრმა ცვლილებების, დიდი მასშტაბის გადაწყვეტილებების წელი, დაძაბული შრომის წელი. 1987 წელი თითქოს ამთავრებს გარდაქმნის პირველ ეტაპს. ამ ეტაპის უდიდესი მონაპოვარია ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ახალი პოლიტიკური და ზნეობრივი ატმოსფერო.

ახალი წლით დაიწყება გარდაქმნის ახალი ეტაპის ათვლა. საერთო ძალისხმევით თითოეულის ცხოვრება, უთუოდ, უკეთესი გახდება მატერიალურად და უფრო მდიდარი სულიერად.

ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ კიდევ ბევრი უნდა ვილვაწოთ, რათა შევქმნათ უიარაღო და უსაფრთხო მსოფლიო. 1987 წელი გარკვეული თვალსაზრისით გახდა სამიჯნო და დასაბამი მისცა ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის ისტორიულ პროცესს. საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების სრული ლიკვიდაციის ხელშეკრულების ხელმოწერა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაშინგტონის შეხვედრაზე — დიდი მოვლენაა მსოფლიო პოლიტიკაში.

ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით ახალი წლის დღესასწაული მიულოცა საბჭოთა ხალხს, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, ჩვენს მეგობრებს მთელს მსოფლიოში.

## „ქართული სპორტის ქირნახული"

კომუნისტი

ქართული პრესის ფლაგმანმა, გაზეთმა „კომუნისტმა" გუშინ გამოაქვეყნა ვრცელი საახალწლო წერილი სათაურით „ქართული სპორტის ჭირნახული". ამ უაღრესად საინტერესო პუბლიკაციაში ღრმად და ობიექტურადაა შეფასებული რესპუბლიკის 1987 წლის სპორტული სეზონის შედეგები. უნდა ვაღიაროთ, ყოველთვის ძალიან გვჭირდებოდა და გვჭირდება ასეთი ნაღდი, პირუთვნელი შეფასება, — განვლილი გზის ობიექტური ანალიზი ხომ უტყუარი ორიენტირია რეალური სამომავლო ამოცანების დასახვისას. ყოველივე ამას „კომუნისტის" გუშინდელ წერილში ცხადად დაინახავს ჩვენი საზოგადოება, რომელსაც ჭეშმარიტად ახარებს ქართული სპორტის მიღწევები და გულს სტკენს ყველა მისი წარუმატებლობა.

სიმართლით აღსავსე ეს სტატია ასე მთავრდება: „ამ საახალწლო წერილს შიგადაშიგ კრიტიკული ტონიც თუ გაერია, მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდოდა წარმატებების მიღმა ნაკლისთვისაც არ აგვერიდებინა თვალი. სხვა დროს სპორტული ჟურნალისტისგან დიდი სითამამე იქნებოდა, ამ სახიფათო „ტრავერსზე" მკითხველის მეგზურობა რომ ეკისრა. სპორტს, ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროს, ცუდი სამსახური გაუწია იმან, რომ ახლო წარსულში სიტყვა საქმეს სცილდებოდა და ბევრი რამ იჩქმალებოდა. მოგეხსენებათ, დრო შეიცვალა და ახლა ძნელად თუ ვინმე შეეცდება შავი თეთრად შემოგვასაღოს".

## დიდი გამარჯვება

გულშემატკივარი განებივრებულია ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალთა წარმატებებით, მაგრამ გასული წლის ბოლო დღეებში, 29 დეკემბერს ბრიუსელში დამთავრებული შეჯიბრების შედეგები მაინც განსაკუთრებულია — ოთხ ვაჟთან პაექრობაში (მათგან ორი საერთაშორისო დიდოსტატი იყო, ორი კი — საერთაშორისო ოსტატი) მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა 5 ქულა მოაგროვა და I ადგილზე გავიდა, ხოლო მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს. ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა ჩამოიტოვეს ოთხივე მამაკაცი, აგრეთვე უნგრელი ჟუჟა პოლგარი და შვედი პია კრამლინგი.



მაგრამ პირად შედეგებთან ერთად საინტერესო იყო სხვაც: ქალების გუნდი გაიმარჯვებდა თუ ვაჟებისა, ბოლო ტურში მაია ჩიბურდანიძემ და ჟუჟა პოლგარმა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები შესაბამისად ლუი ვინანტსთან (ბელგია) და მაქსიმ დლუგთან (აშშ). საერთო ანგარიში გახდა 16:14 ვაჟების სასარგებლოდ და სწორედ ამ მომენტში უდიდესი სიმტკიცე და შეუპოვრობა გამოიჩინეს ნონა გაფრინდაშვილმა და პია კრამლინგმა, რომლებმაც დაამარცხეს უილიამ უოტსონი (ინგლისი) და ერიკ ლობრონი (გფრ). ამრიგად, მატჩში საერთო ანგარიში გათანაბრდა — 16:16.

საინტერესოა, რომ ტურნირში 4-4 ქულა მოაგროვეს და III-VI ადგილები გაიყვეს ვაჟებმა, ჟუჟა პოლგარს 3,5 ქულა ჰქონდა, პია კრამლინგს — 3.

ვულოცავთ ჩვენს დიდოსტატებს ამ დიდ, ლამაზ გამარჯვებას და 1988 წელს ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.

## 1987 წლის სპორტული ლაურეატები



ლერი ხაბელოვი



ნინო სალუქვაძე



ჯემალ მჭედლიშვილი



გურამ გედეხაური



გიორგი ჩოგოვაძე



ნანა იოსელიანი



ლეილა მესხი

საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენი



თამაზ იმნაიშვილი



ქეთევან არახამია



მალხაზ ბერუაშვილი

## დეპეშა ნოძერში

მოსკოვში ოლიმპიურ ტრეკზე გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში, რომელშიაც ქვეყნის ყველა უძლიერესი ველოსიპედისტი მონაწილეობდა, 200 მეტრზე წინასწარ გიტში გაიმარჯვა თბილისის დინამოელმა ვლადიმერ ადამაშვილმა. მეორე იყო სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ლიდერი მოსკოველი ნიკოლაი კოვში, მესამე მიხაილ სვიატცევი (რსფსრ). ფინალურ ასპარეზობაში რევანში ვერ შედგა — ადამაშვილმა ამჯერადაც მოუგო კოვშს. მესამე ადგილზე გავიდა მოსკოველი ევგენი დროფეევი.

## ვულოცავთ!

„არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი სპორტული მოედნის გარეშე!"

ამ დევიზით მიმდინარეობდა ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კონკურს-დათვალიერება. ჩვენს რესპუბლიკაში ამ ღონისძიების ჩატარებას ერთობლივად ხელმძღვანელობდნენ პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო და „ლელოს" რედაქცია. შეჯამდა შედეგები. რესპუბლიკის ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის პირველი ადგილი და ფულადი პრემია მიენიჭა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივს, სადაც კონკურს-დათვალიერების პერიოდში სპორტული მოედნები (განათებით) მოეწყო როგორც უშუალოდ საწარმოში, ისე მუშათა დასახლების ადგილებში და ქარხანასთან მიმდებარე მიკრორაიონებში.

# 1987 წლის სპორტული ლაურეატები

## რესპუბლიკის ათი საუკეთესო სპორტსმენი

(სიძლიერის მიხედვით)

1. ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა) — 266 ქულა

2. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) — 236

3. ჯემალ მჭედლიშვილი (სამბო) — 234

4. გურამ გედეხაური (კლასიკური ჭიდაობა) — 223

5. გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა) — 217

6. ნანა იოსელიანი (ჭადრაკი) — 175

7. ლეილა მესხი (ჩოგბურთი) — 77

8. თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა) — 72

9. ქეთევან არახამია (ჭადრაკი) — 68

10. მალხაზ ბერუაშვილი (სამბო, ქართული ჭიდაობა) — 55.

ანკეტაში აგრეთვე დაასახელეს (ანბანის მიხედვით): მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა); ირაკლი გვარამაძე (ფარიკაობა, ხმალი); მიხეილ გიორგაძე (წყალბურთი); ინგა გილაური (ციგურებით რბენა); ბესიკ გოცირიძე (მძლეოსნობა); ვლადიმერ გოგოლაძე (ტანვარჯიში); დავით გოგეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა); გელა დარსაძე (კალათბურთი); თენგიზ თედორაძე (კლასიკური ჭიდაობა); გიორგი თენაძე (ძიუდო); ზაზა თურმანიძე (თავისუფალი ჭიდაობა); ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი); აკაკი კიბორძალიძე (ძიუდო); კობა კურტანიძე (ძიუდო); ბესარიონ ლილუაშვილი (რეგბი); აკაკი მახარაძე (ფარიკაობა, ხმალი); გია ორჯონიკიძე (სამთო-სათხილამურო სპორტი); კახა ლომიშვილი (საბაიდარო ნიჩბოსნობა); ხარლამ ხიმონია (ცხენოსნობა); გიორგი სირბილაძე და ნიკოლოზ მიქაუტაძე (აკადემიური ნიჩბოსნობა); ანა როსტიაშვილი (წყალში ხტომა): ხრისტინა ფალასანიდი (სინქრონული ცურვა); მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი); ნუგზარ ძაგნიძე (რეგბი); რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა); ვახტანგ ჯაფარიძე (ძიუდო).

## 10 საუკეთესო მწვრთნელი

(ანბანის მიხედვით)

1. ევგენი გაგუა — მძლეოსნობა
2. იური გუტიაკულოვი — წყალში ხტომა
3. გერმან ზონინი — ფეხბურთი
4. დუგლას კავთელაშვილი — რეგბი
5. ნატალია მაშუკი — სინქრონული ცურვა
6. ლევან მოსეშვილი — კალათბურთი
7. ივანე ნიკოლაძე — თავისუფალი ჭიდაობა
8. გურამ პაპიტაშვილი — ძიუდო, სამბო
9. თამაზ რეხვიაშვილი — კლასიკური ჭიდაობა
10. ვახტანგ სალუქვაძე — ტყვიის სროლა

ამ ათეულის გარდა ანკეტაში დასახელებულნი არიან აგრეთვე: დავით დავითაია (კლასიკური ჭიდაობა); ჯუმბერ ლაშხი (აკრობატიკა); ჯონი ლორია (თავისუფალი ჭიდაობა); ვლადიმერ მესტვირიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა); მარლენ ოსიყმაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა); დილშერ ხაბულიანი (ძიუდო, სამბო); თენგიზ ხუდოევი (ბატუტზე ხტომა).



ქუთაისის რეგბისტთა გუნდი „მშენებელი".

## საუკეთესო გუნდები

**1987 წლის საუკეთესო გუნდად ერთხმად აღიარებულია ქუთაისის რეგბისტთა გუნდი „მშენებელი".**

ანკეტებში აგრეთვე დაასახელეს: ძიუდოში, კრივში, ფეხბურთში, კალათბურთში (ვაჟები და გოგონები), ხელბურთში (ჭაბუკები), წყალბურთში სპორტული სკოლების მოსწავლეთა რესპუბლიკის ნაკრები გუნდები და თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა კოლექტივი.

ათეული ყველაზე ზუსტად დაასახელა ჟურნალისტმა ზაზა კახაძემ. თერთმეტმა ჟურნალისტმა მხოლოდ თითო უზუსტობა დაუშვა.

რედაქციამ მიიღო აგრეთვე მკითხველთა ასობით ანკეტა. ყველაზე ზუსტი აღმოჩნდა აფხაზეთიდან სოფელ კოჩრის საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელ აკაკი გელაშვილის, თბილისელი ლევან გახოკიძის, წითელ წყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის საშუალო სკოლის მესამეკლასელი მოსწავლის ვასიკო გონაშვილის, გორიდან რეზო საგკაშვილის, სიღნაღიდან ილია ზაზაშვილის ანკეტები. რედაქცია მადლობას უხდის მკითხველთა ფართო საზოგადოებას, ყველა ავტორს ანკეტურ გამოკითხვაში მონაწილეობისათვის.

## სსრ კავშირის 10 საუკეთესო

სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ ტრადიციულ საახალწლო რეფერენდუმში ჩვენი ქვეყნის ათი საუკეთესო სპორტსმენი გამოავლინა. ამ „შესანიშნავ ათეულში" სპორტის რვა სახეობის წარმომადგენლები მოხვდნენ. გთავაზობთ სიას, რომელშიც გვარები რუსული ანბანის მიხედვითაა დალაგებული:

**სერგეი ბელოგლაზოვი** (კიევი) — თავისუფალი ჭიდაობა

**დიმიტრი ბილოზერჩევი** (მოსკოვი) — სპორტული ტანვარჯიში

**სერგეი ბუბკა** (დონეცკი) — მძლეოსნობა

**ნიკოლოზ გულიაევი** (მოსკოვი) — საციგურაო სპორტი

**სერგეი ზაბოლოტნოვი** (ტაშკენტი) — ცურვა

**იური ზახარევიჩი** (დიმიტროვგრადი) — ძალოსნობა

**გარი კასპაროვი** (ბაქო) — ჭადრაკი

**ანატოლი კარპოვი** (მოსკოვი) — ჭადრაკი

**შარუნას მარჩიულიონისი** (ვილნიუსი) — კალათბურთი

**ტატიანა სამოლენკო** (ზაპოროჟიე) — მძლეოსნობა.

## რინატ დასაევი — წლის საუკეთესო მეკარე

ჟურნალ „ოგონიოკის" რედაქცია საგანგებოდ დაწესებულ პრიზს ყოველ წელს აკუთვნებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეკარეს.

„ოგონიოკმა" 1987 წლის საუკეთესო მეკარედ მიიჩნია სსრ კავშირის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რინატ დასაევი. დასაევი ამ პრიზს უკვე მეხუთედ ღებულობს.

საინტერესოა, რომ „ოგონიოკის" პრიზს ქართველ მეკარეთაგან სხვადასხვა წლებში ფლობდნენ სერგო კოტრიკაძე (1962), ანზორ კავაზაშვილი (1965 და 1967 წლები), ო. გაბელია (1979 წ.).

# ყველა დროის 10 საუკეთესო

**საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა ათეულები 1964 წლიდან ქვეყნდება. ქვემოთ გთავაზობთ ამ ათეულებს წლების მიხედვით:**

**1964 წ.** 1. ს. მეტრეველი, 2. მ. მესხი (ორივე — ფეხბურთი), 3. ნ. გაფრინდაშვილი (ჭადრაკი), 4. ნ. ასათიანი (ფარიკაობა), 5. ჯ. ცერცვაძე (ხელბურთი), 6. რ. რურუა (კლასიკური ჭიდაობა), 7. გურამ საღარაძე (თავისუფალი ჭიდაობა), 8. შ. ქველიაშვილი (ტყვიის სროლა), 9. გ. სიჭინავა (ფეხბურთი), 10. ჯ. აბაიშვილი (ხელბურთი).

**1965 წ.** 1. ო. ფხაკაძე (ველოსპორტი), 2. ნ. გაფრინდაშვილი, 3. გ. საღარაძე, 4. ს. მეტრეველი, 5. ა. ჯანუყაშვილი (ტანვარჯიში), 6. ა. მეტრეველი (ჩოგბურთი), 7. ი. დიაჩკოვი (მძლეოსნობა), 8. ზ. საკანდელიძე (კალათბურთი), 9. ზარიბეგ ბერიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 10. ბუხუტი გურგენიძე (ჭადრაკი).

**1966 წ.** 1. ა. მეტრეველი, 2. რ. რურუა, 3. ნ. ალექსანდრია (ჭადრაკი), 4. ი. დიაჩკოვი, 5. ო. ფხაკაძე, 6. ნ. გაფრინდაშვილი, 7. გ. საღარაძე, 8. ა. კიკნაძე (ძიუდო), 9. ნ. ასათიანი, 10. ს. მეტრეველი.

**1967 წ.** 1. ზ. საკანდელიძე, 2. მ. ხურცილავა (ფეხბურთი), 3. ა. მეტრეველი, 4. რ. რურუა, 5. ო. ფხაკაძე, 6. ნ. გაფრინდაშვილი, 7. გ. საღარაძე, 8. ნ. ალექსანდრია, 9. შ. ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა), 10. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა).

**1968 წ.** 1. ვ. სანეევი, 2. რ. რურუა, 3. დ. შანიძე (ძალოსნობა), 4. შ. ლომიძე, 5. ნ. ალექსანდრია, 6. მ. ხურცილავა, 7. ს. მეტრეველი, 8. ზ. საკანდელიძე, 9. ო. ფხაკაძე, 10. თ. ლეკვეიშვილი (ცურვა).

**1969 წ.** 1. ნ. გაფრინდაშვილი, 2. ნ. ალექსანდრია, 3. ა. მეტრეველი, 4. კ. ასათიანი (ფეხბურთი), 5. რ. რურუა, 6. ო. ფხაკაძე, 7. შ. ლომიძე, 8. ვ. სანეევი, 9. დ. შანიძე, 10. თ. ლეკვეიშვილი.

**1970 წ.** 1. თ. ლეკვეიშვილი, 2. რ. რურუა, 3. ა. მეტრეველი, 4. ნ. ალექსანდრია, 5. გ. ნოდია (ფეხბურთი), 6. ო. ფხაკაძე, 7. ვ. სანეევი, 8. ზ. ბერიაშვილი, 9. ა. ჯელავა (ძალოსნობა), 10. ნ. დრონოვა (ტანვარჯიში).

**1971 წ.** 1. ლ. თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 2. ა. მეტრეველი, 3. შ. ლომიძე, 4. ნ. დრონოვა, 5. ლ. ასატუროვა (მშვილდოსნობა), 6. თ. ლეკვეიშვილი, 7. ა. მოშიაშვილი (მძლეოსნობა), 8. ვ. სანეევი, 9. ზ. საკანდელიძე, 10. დ. შანიძე.

**1972 წ.** 1. ვ. სანეევი, 2. ნ. გაფრინდაშვილი, 3. შ. ჩოჩიშვილი (ძიუდო), 4. ლ. თედიაშვილი, 5. ზ. საკანდელიძე, 6. ა. მეტრეველი, 7. მ. ქორქია (კალათბურთი), 8. დ. შანიძე, 9. ვ. კრატასიუკი (ნიჩბოსნობა), 10. ქ. ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა).

**1973 წ.** 1. ლ. თედიაშვილი, 2. დ. შანიძე, 3. ა. მეტრეველი, 4. ტ. ელენტი (სასტენდო სროლა), 5. ქ. ლოსაბერიძე, 6. გ. გიორგაძე (სამბო), 7. ა. მოშიაშვილი, 8. პ. შამუგია (ტანვარჯიში), 9. მ. მაჩაიძე (ფეხბურთი), 10. თ. კაკულია (ჩოგბურთი).

**1974 წ.** 1. ლ. თედიაშვილი, 2. ვ. სანეევი, 3. რ. სიხარულიძე (ტანვარჯიში), 4. მ. გავა (სათხილამურო სპორტი), 5. ნ. გაფრინდაშვილი, 6. ნ. დრონოვა, 7. ა. მეტრეველი, 8. ნ. ალექსანდრია, 9. დ. შანიძე, 10. ი. მალალაშვილი (სამბო).

**1975 წ.** 1. ნ. გაფრინდაშვილი, 2. ლ. თედიაშვილი, 3. ვ. სანეევი, 4. ი. ომელჩენკო (ცურვა), 5. ნ. ალექსანდრია, 6. ა. მეტრეველი, 7. ჯ. ნიჟარაძე (ძიუდო); 8. პ. შამუგია, 9. მ. ქორქია, 10. თ. იმნაიშვილი.

**1976 წ.** 1. ვ. სანეევი, 2. ლ. თედიაშვილი, 3. დ. ყიფიანი (ფეხბურთი), 4. ა. ანპილოგოვი (ხელბურთი), 5. დ. კვაჭაძე (კრივი), 6. ა. მეტრეველი, 7. თ. კაკულია, 8. რ. ზარშილაძე (ძიუდო), 9. მ. მაჩაიძე, 10. ა. მანსურაძე (კლასიკური ჭიდაობა).

**1977 წ.** 1. დ. კვაჭაძე, 2. მ. ჩიბურდანიძე (ჭადრაკი), 3. დ. ყიფიანი, 4. შ. მორჩილაძე (კლასიკური ჭიდაობა), 5. ნ. მოდებაძე (თავისუფალი ჭიდაობა), 6. მ. მაჩაიძე, 7. ი. ომელჩენკო, 8. ნ. გაფრინდაშვილი, 9. მ. ქორქია, 10. ა. მეტრეველი.

**1978 წ.** 1. მ. ჩიბურდანიძე, 2. ვ. ბლაგიძე (კლასიკური ჭიდაობა), 3. ქ. ლოსაბერიძე, 4. მ. მაჩაიძე, 5. ნ. გაფრინდაშვილი, 6. რ. შენგელია (ფეხბურთი), 7. ა. მეტრეველი, 8. ლ. თედიაშვილი, 9. ა. ხიზანიშვილი (კრივი), 10. ვ. სანეევი.

**1979 წ.** 1. თ. ხუბულური (ძიუდო), 2. ი. გაბაშვილი (მხატვრული ტანვარჯიში), 3. ო. გაბელია (ფეხბურთი), 4. ს. გუნბა (მძლეოსნობა), 5. ქ. ლოსაბერიძე, 6. მ. მაჩაიძე, 7. დ. ყიფიანი, 8. პ. ჩივარდოვი (ველოსპორტი), 9. მ. ჩიბურდანიძე, 10. ლ. ცოტაძე (წყალში ხტომა).

**1980 წ.** 1. ქ. ლოსაბერიძე, 2. ვ. სანეევი, 3. მოჭადრაკე ქალთა გუნდი (მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი), 4. შ. ხაბარელი, 5. ვ. ბლაგიძე, 6. ა. ჩივაძე (ფეხბურთი), 7. ს. გუნბა, 8. ლ. ცოტაძე, 9. ნ. დერიუგინი (კალათბურთი), 10. აკრობატ ქალთა სამეული (ნ. კიკილაშვილი, მ. მნათობიშვილი, მ. შილაკაძე).

**1981 წ.** 1. რ. შენგელია, 2. მ. ჩიბურდანიძე, 3. თ. იმნაიშვილი, 4. მ. სალაძე (კლასიკური ჭიდაობა), 5. ა. ჩივაძე, 6. დ. ყიფიანი, 7. ქ. ლოსაბერიძე, 8. ვ. ბლაგიძე, 9. თ. ხუბულური, 10. ი. ბრიზგალოვი (თანამედროვე ხუთჭიდი).

**1982 წ.** 1. მოჭადრაკე ქალთა გუნდი (მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი), 2. თ. ყაზარაშვილი (კლასიკური ჭიდაობა), 3. ი. გერასიმოვა (ცურვა), 4. თ. აფხაზავა (კლასიკური ჭიდაობა), 5. ვ. აფციაური (ფარიკაობა), 6. ა. ჩივაძე, 7. ა. ანპილოგოვი, 8. რ. ხუტაბა (თავისუფალი ჭიდაობა), 9. ნ. დერიუგინი, 10. მ. ბერუაშვილი (ქართული ჭიდაობა).

**1983 წ.** 1. თ. აფხაზავა, 2. ხ. სიმონია (ცხენოსნობა), 3. ო. მჭედლიშვილი (ველოსპორტი), 4. მ. ჩიბურდანიძე, 5. ნ. გაფრინდაშვილი, 6. თ. ნამგალაური (ძიუდო), 7. შ. ხაბარელი, 8. მ. ბერუაშვილი, 9. ნ. დერიუგინი, 10. დ. დავითაშვილი (ქართული ჭიდაობა).

**1984 წ.** 1. მ. ჩიბურდანიძე, 2. გ. ბიგანიშვილი (აფროსნობა), 3. თ. აფხაზავა, 4. ვ. აფციაური, 5. თ. ნამგალაური, 6. ნ. გაფრინდაშვილი, 7. მ. ბერუაშვილი, 8. ს. ტერნოვოიხი (სამბო), 9. გ. დარსაძე (კალათბურთი), 10. ვ. იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი).

**1985 წ.** 1. დ. გობეჯიშვილი, 2. ლ. ხაბელოვი (ორივე — თავისუფალი ჭიდაობა), 3. ქ. არახამია (ჭადრაკი), 4. ვ. იაგორაშვილი, 5. ს. ტერნოვოიხი, 6. ნ. გაფრინდაშვილი, 7. თ. ნამგალაური, 8. ა. კაზანჯიანი (კრივი), 9. ი. ბრიზგალოვი, 10. ჯ. მჭედლიშვილი (ქართული ჭიდაობა).

**1986 წ.** 1. მ. ჩიბურდანიძე, 2. მ. აზარაშვილი (მძლეოსნობა), 3. დ. გობეჯიშვილი, 4. ვ. იაგორაშვილი, 5. ა. კიბორძალიძე (ძიუდო), 6. ვ. გოგოლაძე (ტანვარჯიში), 7. ო. სტრიჟაკოვი (მძლეოსნობა), 8. თ. იმნაიშვილი. 9. გ. ჩოგოვაძე (წყალში ხტომა), 10. ჯ. მჭედლიშვილი (ქართული ჭიდაობა).

როგორც ხედავთ, ოცდასამმა რეფერენდუმმა საქართველოს 16 საუკეთესო სპორტსმენი დაასახელა. უძლიერესთა სიაში პირველ ნომრად სამ-სამჯერ იყვნენ ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი და მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი ამ სიას ორჯერ ედგა სათავეში. ერთხელ პირველი ადგილი მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ნაკრებ გუნდს, რომელმაც საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგო და რომელიც მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული.

უძლიერეს სპორტსმენთა ათეულში ყველაზე ხშირად ნონა გაფრინდაშვილია დასახელებული — 14-ჯერ. მომდევნო ადგილებზე არიან: ალექსანდრე მეტრეველი — 13-ჯერ, ვიქტორ სანეევი და მაია ჩიბურდანიძე — 10-10-ჯერ.

## ბოლო სტარტი

ვანის მახლობლად ჩატარდა 1987 წლის სეზონში ველოსიპედისტთა ბოლო შეჯიბრება — რესპუბლიკის პირველი ჩემპიონატი კროსში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი. 18-კილომეტრიანი ტრასის სტარტზე მოზრდილებთან ერთად გამოვიდნენ იუნიორი და ჭაბუკი ველოსიპედისტები.

აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა და საქართველოს ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა პროფკავშირების წარმომადგენელმა გარი კეხბაძ. დისტანციის გავლას მან 57.15,0 მოანდომა.

მეორე ადგილი წილად ხვდა თბილისის არმიელს ვახტანგ პაპუაშვილს (58.00), მესამე იყო თბილისის დინამოელი მიხეილ ჩევარდოვი (58.30).

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 55-მა ველოსიპედისტმა, აქედან დისტანცია 45-მა სპორტსმენმა დაამთავრა. სამწუხაროდ, ბევრმა ერთობ სუსტი მომზადება გამოამჟღავნა.

საქმე ის გახლავთ, რომ საველოსიპედო კროსი მონაწილისაგან სპეციფიკურ ტექნიკას მოითხოვს, ამ ტექნიკის დაუფლება კი შეჯიბრებებში შეიძლება, რესპუბლიკაში კროსმენთა ასპარეზობა კი იშვიათად ტარდება. ბოლო ორი წლის განმავლობაში, მაგალითად, არც ერთი ამგვარი შეჯიბრება არ გამართულა.

„ლელოს" კორ.

წლის საუკეთესო სპორტსმენი

# ცხოვრებაში და... სარბიელზე

**ასე შევთანხმდით: საქართველოს 1987 წლის საუკეთესო სპორტსმენს ლერი ხაბელოვს საახალწლო ინტერვიუში ჭიდაობაზე არ უნდა ელაპარაკა. მაგრამ პირობის შესრულება ძნელი გამოდგა. სპორტის თემას ვერ იქნა და ვერ გადავუხვიეთ. თუმცა მკითხველს მცირე შესაძლებლობა მაინც მივეცით მსოფლიო ჩემპიონის პიროვნება სხვა კუთხითაც წარმოედგინა:**



● **ხართ თუ არა ცხოვრებით კმაყოფილი?**

— რა თქმა უნდა, ვარ.

● **იმიტომ ხომ არა, რომ მიზანს მიაღწიეთ?**

— საბოლოო მიზნისთვის ჯერ არ მიმიღწევია, ამის შესახებ სეულის ოლიმპიადის შემდეგ ვისაუბროთ. კმაყოფილი ვარ იმით, რომ ჩემი მთავარი არჩევანი სწორი გამოდგა.

● **ახალგაზრდობაში სხვა არჩევანიც გქონდათ?**

— ნუ გაგიკვირდებათ და ბავშვობაში საკმაოდ მუსიკალური ვიყავი. ვსწავლობდი გიტარაზე და კლარნეტზე დაკვრას. მიყვარდა სიმღერაც. ასე რომ, იმხანად ჭიდაობაზე არც მიფიქრია.

● **თუ გყავდათ საყვარელი მომღერალი ან მუსიკოს-შემსრულებელი?**

— ვლადიმერ ვისოცკი ჩემი და ჩემი თანატოლების კერპი იყო. მისი სიმღერების ჩანაწერებს ახლაც ვინახავ და თავისუფალ დროს სიამოვნებით ვისმენ.

● **სმენამ ხომ არ გიღალატათ მუსიკოსი რომ ვერ გახდით?**

— არა მგონია. სმენა ალბათ მქონდა, თორემ მუსიკალურ სასწავლებელში რას მიმიღებდნენ?

● **მხატვრულ ლიტერატურაზე რას იტყვით? კითხვა გიყვართ?**

— კითხვაც მიყვარს და ბევრსაც ვკითხულობ, მეტწილად ისტორიულ რომანებს, რომლებშიც ჩვენი ხალხის რაინდული ცხოვრებაა აღწერილი.

● **სად და როდის ისწავლეთ ჭიდაობა?**

— 118-ე ქართული სკოლა ავჭალაში იყო. იქ ჭიდაობა ყველას უყვარდა. დიდები დაიწყებდნენ ხოლმე ბლარძუნს და მერე ჩვენ, პატარებსაც გვაქეზებდნენ. მეც გავდიოდი საჭიდაოდ ხან ტოლებთან, ხან უფროსებთან. წაგება არ მიყვარდა, ამიტომაც ყოველ მარცხს მწვავედ განვიცდიდი. საბედნიეროდ, უფრო ხშირად ვიგებდი ხოლმე და ყურადღებაც ამიტომ მომაქციეს.

● **დარწმუნებული ვართ მარცხს არც ახლა ეგუებით?**

— რატომ უნდა შევეგუო. სხვამ რატომ უნდა მაჯობოს, როცა შემიძლია. დამარცხება საშინელი გრძნობაა. დამარცხებული სპორტსმენი რატომღაც დამცირებულ კაცად მიმაჩნია და სულ იმას ვცდილობ, რომ ამ დღეში არ აღმოვჩნდე.

● **საბედნიეროდ უფრო ხშირად იგებთ და ეს გრძნობა თქვენთვის უცხო უნდა იყოს?**

— ოფიციალურ შეხვედრებში ორად-ორი შეხვედრა მაქვს წაგებული და ორთავე კარგად მახსოვს. ერთხელ საკავშირო ჩემპიონატში ჩემმა მუდმივმა მეტოქემ ასლან ხადარცევმა დამამარცხა, ეს მარცხი მსაჯების ნამუსზეა და მას ისე მწარედ არ განვიცდი. მეორედ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიო თასის გათამაშებაზე იქაურმა სევერინმა მაჯობა. ეს კი ჩემი ბრალი იყო. ბავშვივით მოვიქეცი, ვერ შევაფასე მეტოქე და დავისაჯე კიდეც.

● **ყველაზე მეტად ცხოვრებაში ალბათ ეს მარცხი დაგამახსოვრდათ?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა. ცხოვრებაში სხვა უფრო დიდი გასაჭირიც მქონდა და ყველაზე მეტად სწორედ ის მახსოვს. მინსკში ვიყავით შეკრებაზე. ვემზადებოდით მსოფლიო ჩემპიონატზე წასასვლელად, მაგრამ გუნდის შემადგენლობა ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო. ერთ საღამოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ივან იარიგინმა გამოგვიცხადა: ვინც საზეიმო შეხვედრაზე არ იცეკვებს, შინ გაემგზავრებაო. საგონებელში ჩავვარდით. ყველაზე მეტად კი ჩვენ, მძიმე წონის ხალხი. ბოლოს მე, დათო გობეჯიშვილმა, ასლან ხადარცევმა და გროზნოელმა ალეკო მუზიკაშვილმა, გადავწყვიტეთ რაიმე სანახაობა დაგვედგა, ვიშოვეთ ქალის კაბები, როგორღაც ჩამოვიცვით და გედების ცეკვა განვასახიერეთ. წარმატება ჩვენს სპექტაკლს დიდი ჰქონდა. ამით გადავრჩით.

● **თქვენი ჰობი?**

— ცხენებზე ჯირითი. ხშირად ჩავდივარ მშობლიურ სოფელ ჭალაში (ხაშურის რაიონი) პაპაჩემთან. მას ერთი ცხენი ჰყავს ჩემს სახელზე და როგორც კი დროს ვიპოვი, მოვაჯდები მას და საათობით დავაქროლებ. ეს თავისებური ვარჯიშიცაა და დასვენებაც.

● **ვინ არის თქვენი ოცნების მოჭიდავე?**

— მე რომ ჭიდაობა დავიწყე, ლევან თედიაშვილი სარბიელს ტოვებდა. ასე რომ, მისი ჭიდაობა კარგად არც კი მახსოვს. მაგრამ ერთხელ ქუჩაში ასეთ საუბარს მოვკარი ყური: ლევან თედიაშვილი ამერიკაში დათვს შეჭიდებია და დაუმარცხებიაო. ამ ფაქტმა გამაოცა, ლევანი კი ჩემს წარმოდგენაში ზღაპრულ დევ-გმირად იქცა. იგი ჩემთვის დღესაც ასეთია. ბევრი მსმენია ვლადიმერ რუბაშვილზეც, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მსმენია.

● **უცხოელ მოჭიდავეებზე თუ გვეტყვით რამეს?**

— უცხოელთაგან, პირველ რიგში, ამერიკელებს გამოვყოფ. ისინი, ყველანი, ძლიერი ბიჭებია, თანაც ჭიდაობა იციან და უყვართ. სხვათა შორის, იქ ჭიდაობა ხალხსაც უყვარს. ამერიკაში ბევრჯერ ვყოფილვარ, ბევრ ქალაქში გამოვსულვარ, აი, ცარიელი დარბაზი კი არსად მინახავს. თავისუფალ ჭიდაობას ძველად, ალბათ გახსოვთ, ამერიკულს უწოდებდნენ. ჩემის აზრით, ესეც ნიშანდობლივია.

● **ვის უხარია ყველაზე უფრო მეტად თქვენი წარმატება?**

— ქართველი მოჭიდავეების გამარჯვება ყველა გულშემატკივარს ერთნაირად ახარებს. უფრო გამორჩეულად კი ჩემს დედ-მამას და კიდევ, პაპაჩემს.

● **ცოლ-შვილს?**

— საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ცოლ-შვილი არ მყავს.

● **ოცდაოთხი წლის კაცი ალბათ ოჯახის შექმნაზეც უნდა ფიქრობდეს?**

— ჯერ სეულის ოლიმპიადა ჩამთავრდეს. ფიქრი მერეც შეიძლება.

● **საიდუმლოს გამჟღავნებას არ გთხოვთ, მაგრამ კანდიდატი თუ გყავთ შერჩეული?**

— ???

● **თქვენ პირველად დაგასახელეს საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად. როგორ შეხვდით ამ ცნობას?**

— გულახდილად უნდა გითხრათ, ამაზე არც მიფიქრია. ოლიმპიადის წინა წელს ერთი მიზანი მქონდა დასახული — მომეგო ყველა შეჯიბრება, რაშიც გამოვიდოდი. ეს პირობა შევასრულე, თუმცა სეულში რომ გავემგზავრო, კიდევ არა ერთი შეჯიბრების მოგება დამჭირდება. მოხარული ვარ, რომ რესპუბლიკის ჟურნალისტებმა ასეთი ნდობა გამომიცხადეს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ვალდებულიც არის ოლიმპიური თამაშების მონაწილე იყოს. ასე რომ, ამიერიდან ახალი პასუხისმგებლობა დამეკისრა.

საუბარი ჩაიწერა
**ნოდარ ბუზუშვილმა.**




**თბილისის საერთაშორისო ტურნირის ფინალში ლერი ხაბელოვმა ოდესელი რობერტ თიბილოვი დაამარცხა ანგარიშით 8:3.**

ვარლამ გენგიურის ფოტო.



# „ლელოს" საახალწლო კონკურსი

## ფეხბურთის მოყვარულთათვის!

**გამოიცანით 1990 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის კონტურები. 1988 წლიდან დაიწყება ამ მეტად საინტერესო შეჯიბრების შესარჩევი მატჩები.**

**12 დეკემბერს** ციურიხის „ჰალენშტადიონის" საკონფერენციო დარბაზში გაიმართა წილისყრა. მსოფლიოს 112 ნაკრები გუნდი განლაგდა წინასწარ ჯგუფებში, მათგან უნდა გამოვლინდეს ფინალის 22 მონაწილე, ხოლო ორი ადგილი წინასწარ აქვთ დაჯავშნული მასპინძლებს (იტალია) და მსოფლიო ჩემპიონებს (არგენტინა).

როგორც ყოველთვის, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები საყოველთაო ინტერესს იწვევს. ცხადია, ჩვენი ფეხბურთის მოყვარულებიც დაინტერესებული არიან საკვალიფიკაციო ჯგუფის ამ ციკლის შეჯიბრებებით.

„ლელოს" რედაქცია მკითხველებს სთავაზობს საახალწლო კონკურსს. საკონკურსოდ შევარჩიეთ ისეთი კითხვები, რომელთა პროგნოზირება ასე თუ ისე ხელმისაწვდომია ფეხბურთის მოყვარულთათვის. რა თქმა უნდა, მკითხველებს არ ვთავაზობთ იწინასწარმეტყველონ გამარჯვებულები ყველა ზონაში, ვინაიდან შეუძლებელია წინასწარ იწინასწარმეტყველო, ვთქვათ, ანტიგუასი და ანტილის კუნძულების გუნდებს შორის გამარჯვებული (კონკაკაფ-ის ზონა. I ჯგუფი), ან ლესოტოსა და ზიმბაბვეს (აფრიკა) შორის საუკეთესო. ამას ახლა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სავარაუდო ნგებო კომისიაც ვერ განსაზღვრავს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ იმ თემაზე, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომია.

ამრიგად, ჩვენი კითხვები:

**1. დაგვისახელეთ ევროპის ზონის III ჯგუფის ორი გამარჯვებული, რომლებიც ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებენ (სსრ კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ავსტრია, ისლანდია, თურქეთი).**

**2. დაგვისახელეთ გუნდი, რომელიც გამარჯვებას მოიპოვებს ევროპის I ჯგუფში (დანია, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი).**

**3. ვინ მოიპოვებს მსოფლიოს XIV ჩემპიონატის ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლებას?**

**4. შეინარჩუნებს თუ არა არგენტინა მსოფლიო ჩემპიონის წოდებას?**

**5. აქამდე ჩატარებულ მსოფლიოს 13 ჩემპიონატში 7-ჯერ გაიმარჯვეს სამხრეთ ამერიკის გუნდებმა, ექვსჯერ — ევროპელებმა. რომელი კონტინენტის გუნდი მოიპოვებს გამარჯვებას მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში — სამხრეთ ამერიკის თუ ევროპისა?**

თქვენი პროგნოზები რედაქციაში შეგიძლიათ გამოგზავნოთ 1988 წლის 1 თებერვლამდე. მისამართი: თბილისი, 380096, ლენინის ქუჩა № 14, „ლელოს" რედაქციას.

სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატი ფეხბურთში



# თბილისის „დინამოს" თამაშების კალენდარი

**სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ შეადგინა 1988 წლის საკავშირო შეჯიბრებათა კალენდარი. იგი უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირის სპორტსახკომმა. ვფიქრობთ, მასში ცვლილებები არ მოხდება.**

**ფეხბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ თბილისის „დინამოს" შეხვედრათა კალენდარს (საკავშირო ჩემპიონატის, სსრ კავშირის თასისა და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩები). მთლიანად კალენდარს დავბეჭდავთ „ლელოს" ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.**

### I წრე

**7 მარტი.** „დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი)

**11 მარტი.** „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მინსკი)

**19 მარტი.** „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი)

**28 მარტი.** „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი)

**ფეხბურთის ფედერაციის თასი**

**3 აპრილი.** „დინამო" (თბილისი) — „ქაირათი" (ალმა-ათა)

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**10 აპრილი.** „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი)

**სსრ კავშირის თასი მეოთხედფინალი**

**13 აპრილი.** „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო" (თბილისი)

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**18 აპრილი.** „დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი)

**24 აპრილი.** „ნეფთჩი" (ბაქო) — „დინამო" (თბილისი)

**30 აპრილი.** „დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი)

**4 მაისი.** „დინამო" (თბილისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)

**ფეხბურთის ფედერაციის თასი**

**8 მაისი.** „არარატი" (ერევანი) — „დინამო" (თბილისი)

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**13 მაისი.** „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი)

**ფეხბურთის ფედერაციის თასი**

**23 მაისი.** „დინამო" (თბილისი) — „ნეფთჩი" (ბაქო)

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**27 მაისი.** „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (თბილისი)

**ფეხბურთის ფედერაციის თასი**

**11 ივნისი.** „დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი)

**16 ივნისი.** „ნეფთჩი" (ბაქო) — „დინამო" (თბილისი)

**20 ივნისი.** „ქაირათი" (ალმა-ათა) — „დინამო" (თბილისი)

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**26 ივნისი.** „დინამო" (თბილისი) — „მეტალისტი" (ხარკოვი)

**30 ივნისი.** „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი)

**7 ივლისი.** „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი)

**12 ივლისი.** „ქაირათი" (ალმა-ათა) — „დინამო" (თბილისი)

### II წრე

**31 ივლისი.** „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)

**4 აგვისტო.** „დინამო" (თბილისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა)

**9 აგვისტო.** „შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (თბილისი)

**13 აგვისტო.** „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო" (თბილისი)

**17 აგვისტო.** „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი)

**24 აგვისტო.** „დინამო" (თბილისი) — „ნეფთჩი" (ბაქო)

**3 სექტემბერი.** „არარატი" (ერევანი) — „დინამო" (თბილისი)

**18 სექტემბერი.** „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დინამო" (თბილისი)

**24 სექტემბერი.** „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)

**16 ოქტომბერი.** „დინამო" (მინსკი) — „დინამო" (თბილისი)

**22 ოქტომბერი.** „დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი)

**31 ოქტომბერი.** „დინამო" (თბილისი) — „ქაირათი" (ალმა-ათა)

**4 ნოემბერი.** „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი)

**14 ნოემბერი.** „დინამო" (კიევი) — „დინამო" (თბილისი)

**19 ნოემბერი.** „მეტალისტი" (ხარკოვი) — „დინამო" (თბილისი)



**ავტომობილს** ადამიანისთვის სიხარულის გარდა დიდი ზიანიც მოაქვს. მძღოლებსა და მანქანაში დიდი ხნის მანძილზე მყოფ ხალხს ეწყებათ ჰიპოდინამია — ორგანიზმი ისეთ მდგომარეობაში ვარდება, როდესაც გარკვეული კუნთები უმოქმედობის გავლენით ატროფირებას განიცდიან. ამ გარდუვალ მდგომარეობასთან საბრძოლველად ესპანელმა მეცნიერებმა სპეციალური ფიზკულტურული კომპლექსი შეიმუშავეს, სადაც ტრენაჟორის როლს ავტომობილი ასრულებს. ექვსი მარტივი ვარჯიშის შემდეგ მძღოლი თავს კვლავ მხნედ გრძნობს.

# კომპლექსი მათთვის, ვინც საჭესთან ზის!

სიახლეთა ესტაფეტა



## გმირთა მემორიალურ ტურნირზე

**ახლახან** ქუთაისელმა ჭაბუკმა მოჭიდავეებმა და მოკრივეებმა საბჭოთა კავშირის გმირების ალექსანდრე მატროსოვისა და ნიკოლაი იატენკოს ხსოვნისადმი მიძღვნილ საკავშირო ტურნირებში იასპარეზეს და მშობლიურ ქალაქს ხელდამშვენებულნი დაუბრუნდნენ.

ულიანოვსკში ჩატარებულ ა. მატროსოვის მემორიალზე 250-მდე მოჭიდავე, (სულ 18 გუნდი) შეიკრიბა. ქუთაისის ღირსებას პროფკავშირული სპორტსაზოგადოებისა და „დინამოს“ საქალაქო საბჭოების ნაკრები გუნდები იცავდნენ.

ჭაბუკ მოჭიდავეთა ეს საინტერესო ტურნირი დაძაბულად წარიმართა, რადგან შეჯიბრებაში გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული კოლექტივიც უნდა გამოვლენილიყო. მით უფრო საპატიოა პროფკავშირული სპორტსაზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს ნაკრები გუნდის წარმატება. ეს გუნდი ძირითადად ავტოქარხნელი მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული. რიონისპირელმა ფალავნებმა გადამწყვეტ შეხვედრაში 3 ქულით აჯობეს ჩრდილოეთ ოსეთის ძლიერ ნაკრებს და საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს.

პირად პირველობაში თავი გამოიჩინა ქუთაისის 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ფ. ხარძეიშვილმა, რომელმაც 58-კგ წონის ათლეტთა ტურნირში ექვსი შეხვედრა წმინდა გამარჯვებით დაასრულა, ფინალში კი ქულებით სძლია რსფსრ-ის ჩემპიონს ნ. ვალიევს. მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა მისმა თანაგუნდელმა დ. ხოჯავამ (54 კგ), მესამე — კ. ვახტანგაძემ (ზემძიმე წონა) და ა. მგელაძემ (74, დინამო). მათ გარდა გამარჯვებულ გუნდს ჩასათვლელი ქულები მისცეს კ. ნადირაძემ (43), მ. ხელაძემ (63) და ი. ლაბაძემ (68). ამ შეჯიბრებისთვის გუნდი მოამზადეს ქუთაისელმა მწვრთნელებმა მ. დოხტურიშვილმა, ნ. ქოიავამ, თ. ბაბუხადიამ და ლ. ცნობილაძემ.

მოკრივეებმა კი ზაპოროჟიეში იასპარეზეს. კიევის, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს, ვინიცის, აქტიუბინსკის, ერევნის, პრიმორსკის, ჟდანოვისა და მელიტოპოლის გუნდებთან ერთად შეჯიბრებაში ჩაება ქუთაისის სპორტკლუბ „თბომავლის“ (თავმჯდომარე ნ. ზივზივაძე) ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპორტსკოლის (დირექტორი კ. შავგულიძე) კოლექტივი.

ქუთაისელთა გუნდიდან, რომელიც ამ შეჯიბრებისთვის სპორტის ოსტატმა ა. ნიკოლაძემ მოამზადა, თავი ისახელეს ემზარ გოგავამ (მწვრთნელი ჯ. ქორქოლიანი), ნოდარ ესებუამ და თედორე ჩხეიძემ (ორივე მოკრივე ა. ნიკოლაძის აღსაზრდელია). მეორე ადგილები დაიკავეს ჯონი კაკაბაძემ (მწვრთნელი კ. შავგულიძე) და კახაბერ დემურიამ (მწვრთნელი ჯ. ქორქოლიანი).

სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა თ. ჩხეიძის გამოსვლამ, რომელიც ტურნირის საუკეთესო მოკრივის პრიზით დააჯილდოვეს.

**თამაზ კოლხიდელი.**





## კვიმატი ობიექტივი

**რას** არ „მოინადირებს“ ფოტორეპორტიორის „კვიმატი ობიექტივი“? ზოგჯერ ისეთი უჩვეულო, მოულოდნელი, პარადოქსული სიტუაციები აღიბეჭდება ფირზე, გამოგიტყდებით, სურათის შერჩევა გვიჭირს. ამ „ძნელ“ ფოტოს, ალბათ, თითო-ოროლა მკითხველი თუ „მოარგებს“ წარწერას — ვფიქრობთ საგონებელში ჩავარდნილნი, მაგრამ გაივლის სამი-ოთხი დღე, მივიღებთ პირველ ბარათებს და ვრწმუნდებით: „კვიმატი ობიექტივის“ მოყვარულთათვის არ არსებობს ამოუხსნელი ამოცანა.

აი, როგორ „შეამკეს“ ეს ფოტო ჩვენმა მკითხველებმა:

„იქნებ, ახლა მაინც ჩააგდოთ!“ ბელა ქებურია (ჩხოროწყუ); „მეც კაცი ვარ, ეგრე რატომ მიყურებ?“ — ავთანდილ მაღლაკელიძე (ქუთაისი); „თუ შემოგვაკლდა „გრძელი“ ბიჭები, წაქცეულ-კალათებამდე ინც მივწვდებით“ — ი. ქარციძე (რუსთავი); „კალათბურთის პროკრუსტე“ — გურამ გორდელი (ქუთაისი).

საინტერესო წარწერები გამოგვიგზავნეს ნუგზარ გამყრელიძემ (თერჯოლიდან), ლევან ჯოჯუამ (აბაშის რაიონიდან), გელა ნოზაძემ (თბილისიდან), გიორგი ჯელაძემ (თბილისიდან), გიორგი მუმლაძემ (ზესტაფონიდან), ირაკლი ჭკუასელმა (თბილისიდან), ე. გობეჯიშვილმა (თბილისიდან), დავით ბენაშვილმა (რუსთავიდან), ელგუჯა ფხაკაძემ (ბათუმიდან), მუხრან მდივანმა (თბილისიდან), ნონა ჭიჭოშვილმა (რუსთავიდან), გიორგი ვაშაკიძემ და გიორგი ასაბაშვილმა (თბილისიდან) ზაზა მანჯავიძემ (ზესტაფონიდან), ლაშა მეტრეველმა და მაია ექიზაშვილმა (თბილისიდან).

გთავაზობთ მორიგ ფოტოს.

## გაზეთ „მესაჯეროს“ აზრით

იტალიის გაზეთმა „მესაჯერომ“ მოაწყო საახალწლო რეფერენდუმი მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა გამოსავლენად.

პირველი ადგილი ერთხმად კანადელ მძლეოსანს ბენ ჯონსონს მიეკუთვნა, რომელმაც 1987 წელს მსოფლიო ჩემპიონატში 100-მეტრიან დისტანციაზე ფანტასტიკური რეკორდი დაამყარა.

მეორე ადგილზე გავიდა პროფესიონალი ველოსიპედისტი ირლანდიიდან სტეფან როში, მესამეზე ასევე პროფესიონალი სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის მოკრივეთა შორის, ამერიკელი მაიკ ტაისონი.

მომდევნო ადგილები საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს სერგეი ბუბკას (მძლეოსნობა) და დმიტრი ბილოზერჩევს (სპორტული ტანვარჯიში) ერგოთ.



## იუმორი

### შემთხვევა

ამას წინათ კინაღამ ტრაგიკულად დამთავრდა შემთხვევა, რომელიც მოცურავეთა რაიონულ პირველობაზე მოხდა. ჩემპიონის მწვრთნელი, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ტრადიციისამებრ ტანსაცმლიანად ჩააგდეს აუზში. სამწუხაროდ, გვიან გამოირკვა, რომ მან ცურვა არ იცოდა.

ამაგდარი მწვრთნელი ისევ მისმა აღზრდილმა გადაარჩინა...

რაიონული საავადმყოფოს ექიმები გვაიმედებენ, რომ მწვრთნელი ამჟამად თავს კარგად გრძნობს და მალე დაუბრუნდება საყვარელ საქმეს.

**ჯემალ კახრაძე.**

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 3 იანვარს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

# № 1 მსოფლიოში

**მსოფლიოს** უძლიერესი სპორტსმენი პირველად, ოფიციალურად, 1947 წელს დაასახელეს. მას შემდეგ საახალწლო რეფერენდუმში მონაწილეობას იღებენ უცხოეთის სპორტული რედაქციებისა და სააგენტოების წარმომადგენლები, ამ დარგის მუშაკები, სპეციალისტები. 1968 წლამდე ვლინდებოდა ერთი უძლიერესი სპორტსმენი — არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, ქალი იყო იგი თუ ვაჟი. მერე კი უძლიერესებს ცალკე ვაჟებში და ცალკე ქალებში ასახელებდნენ:

1947 წ. ალექს ჟანი (საფრანგეთი) — ცურვა
1948 წ. ფანი ბლანკერს-კოენი (ჰოლანდია) — მძლეოსნობა
1949 წ. ემილ ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკია) — მძლეოსნობა
1950 წ. ბობ მათიასი (აშშ) — მძლეოსნობა
1951 წ. ემილ ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკია) — მძლეოსნობა
1952 წ. ემილ ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკია) — მძლეოსნობა
1953 წ. ფაუსტო კოპი (იტალია) — ველოსპორტი
1954 წ. როჯერ ბანისტერი (ინგლისი) — მძლეოსნობა
1955 წ. შანდორ იხაროში (უნგრეთი) — მძლეოსნობა
1956 წ. ვლადიმერ კუცი (სსრ კავშირი) — მძლეოსნობა
1957 წ. ვლადიმერ კუცი (სსრ კავშირი) — მძლეოსნობა
1958 წ. ჰერბერტ ელიოტი (ავსტრალია) — მძლეოსნობა
1959 წ. ვლადიმერ კუზნეცოვი (სსრ კავშირი) — მძლეოსნობა
1960 წ. ვილმა რუდოლფი (აშშ) — მძლეოსნობა
1961 წ. ვალერი ბრუმელი (სსრ კავშირი) — მძლეოსნობა
1962 წ. ვალერი ბრუმელი (სსრ კავშირი) — მძლეოსნობა
1963 წ. ვალერი ბრუმელი (სსრ კავშირი) — მძლეოსნობა
1964 წ. დონალდ შოლანდერი (აშშ) — ცურვა
1965 წ. რონ კლარკი (ავსტრალია) — მძლეოსნობა
1966 წ. ჯიმ რაიანი (აშშ) — მძლეოსნობა
1967 წ. ჯიმ რაიანი (აშშ) — მძლეოსნობა
1968 წ. ბობი ბიმონი (აშშ) — მძლეოსნობა;
ვერა ჩასლავსკა (ჩეხოსლოვაკია) — ტანვარჯიში.
1969 წ. ედი მერქსი (ბელგია) — ველოსპორტი;
ლიზელ ვესტერმანი (გფრ) — მძლეოსნობა.
1970 წ. პელე (ბრაზილია) — ფეხბურთი;
ჩე ჩინი (ტაივანი) — მძლეოსნობა.
1971 წ. ედი მერქსი (ბელგია) — ველოსპორტი;
შეინ გოულდი (ავსტრალია) — ცურვა.
1972 წ. მარკ სპიცი (აშშ) — ცურვა,
შეინ გოულდი (ავსტრალია) — ცურვა.
1973 წ. ჯეკ სტიუარტი (ინგლისი) — ავტოსპორტი;
კორნელია ენდერი (გდრ) — ცურვა.
1974 წ. ედი მერქსი (ბელგია) — ველოსპორტი;
ირენა შევინსკა (პოლონეთი) — მძლეოსნობა.
1975 წ. მუჰამედ ალი (აშშ) — კრივი;
კორნელია ენდერი (გდრ) — ცურვა.
1976 წ. ალბერტო ჰუანტორენა (კუბა) — მძლეოსნობა,
ნადია კომანეჩი (რუმინეთი) — ტანვარჯიში.
1977 წ. ნიკი ლაუდა (ავსტრია) — ავტოსპორტი;
როზმარი აკერმანი (გდრ) — მძლეოსნობა.
1978 წ. ჰენრი რონო (კენია) — მძლეოსნობა;
ტრეისი კოლკინსი (აშშ) — ცურვა.
1979 წ. სებასტიან კოე (ინგლისი) — მძლეოსნობა;
მარიტა კოხი (გდრ) — მძლეოსნობა.
1980 წ. ბიორნ ბორგი (შვეცია) — ჩოგბურთი;
ტატიანა კაზანკინა (სსრ კავშირი) — მძლეოსნობა.
1981 წ. სებასტიან კოე (ინგლისი) — მძლეოსნობა;
ეველინ ეშფორდი (აშშ) — მძლეოსნობა.
1982 წ. დეილი ტომპსონი (ინგლისი) — მძლეოსნობა;
მარიტა კოხი (გდრ) — მძლეოსნობა.
1983 წ. კარლ ლუისი (აშშ) — მძლეოსნობა;
მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — ჩოგბურთი.
1984 წ. კარლ ლუისი (აშშ) — მძლეოსნობა;
მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — ჩოგბურთი.
1985 წ. სერგეი ბუბკა (სსრ კავშირი) — მძლეოსნობა;
მარიტა კოხი (გდრ) — მძლეოსნობა.
1986 წ. დიეგო მარადონა (არგენტინა) — ფეხბურთი;
ჰაიკე დრექსლერი (გდრ) — მძლეოსნობა.

საახალწლო გამოკითხვა წლის უძლიერესი სპორტსმენების დასადგენად უკვე ორმოცჯერ ჩატარდა. დასახელებულია სულ 59 ლაურეატი. ყველაზე ხშირად გამარჯვებას ამ ანკეტებში მძლეოსნები აღწევდნენ — 37-ჯერ. მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენად მოცურავე რვაჯერაა დასახელებული, ველოსიპედისტი — ოთხჯერ, ჩოგბურთელი — სამჯერ, ტანმოვარჯიშე, ფეხბურთელი და ავტომობილისტი — 2-2-ჯერ, მოკრივე — ერთხელ.

ყველაზე ბევრი ლაურეატი აშშ-ს ჰყავს — 14. მომდევნო ადგილებზე არიან: საბჭოთა კავშირი — 8, გდრ — 7, ინგლისი — 5, ჩეხოსლოვაკია და ავსტრალია — 4-4, ბელგია — 3. მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა შორის თითოჯერაა დასახელებული საფრანგეთის, ჰოლანდიის, იტალიის, უნგრეთის, გფრ-ის, ბრაზილიის, პოლონეთის, კუბის, რუმინეთის, ავსტრიის, კენიის, შვეციისა და არგენტინის წარმომადგენლები.

სამ-სამჯერ მიიღეს მთავარი პრიზი ე. ზატოპეკმა (ჩეხოსლოვაკია), ვ. ბრუმელმა (სსრ კავშირი), ე. მერქსმა (ბელგია), მ. კოხმა (გდრ), ორჯერ — ვ. კუცმა (სსრ კავშირი), ჯ. რაიანმა (აშშ), კ. ენდერმა (გდრ), ს. კოემ (ინგლისი), მ. ნავრატილოვამ, შ. გოულდმა და კ. ლუისმა (ორივე — აშშ). დანარჩენი სპორტსმენები უძლიერესთა სიაში პირველ ნომრად თითოჯერ არიან დასახელებული.



„ინტერნეიშნლ შპორტ კორესპონდენტის“ სააგენტომ მსოფლიოს 1987 წლის საუკეთესო სპორტსმენებად მძლეოსნები — ბენ ჯონსონი (კანადა) და ჯეკი ჯოინერ-კერსი (აშშ) დაასახელა.

ბენ ჯონსონს გამარჯვება ამ რეფერენდუმში რომის ოლიმპიურ სტადიონზე დამყარებულმა ფანტასტიკურმა მსოფლიო რეკორდმა განაპირობა. კანადელმა სპრინტერმა 100 მეტრი 9,83-ში გაირბინა. აი, როგორი იყო ამ სარეკორდო რბენის გრაფიკი დისტანციაზე: 10 მ. — 1,86; 20 მ. — 2,87; 30 მ. — 3,80; 40. მ. — 4,66; 50 მ. — 5,55; 60 მ. — 6,38; 70 მ. — 7,21; 80 მ. — 8,11; 90 მ. — 8,98; 100 მ. — 9,83.

ჯეკი ჯოინერ-კერსიმ რომის მსოფლიო ჩემპიონატში ორი ოქროს მედალი მოიპოვა სიგრძეზე ხტომასა (7 მ. 36 სმ.) და შვიდჭიდში (7128 ქულა). სიგრძეზე ხტომაში მისი შედეგები ცდების მიხედვით ასეთი იყო: I ცდა — 6,91; II — 7,12; III — 7,36; IV — 6,95; V — 6,95; VI — 6,99. ათჭიდში ამერიკელმა მძლეოსანმა მეორე ადგილზე გასულ ლარისა ნიკიტინას (აშშ) 564 ქულით გაუსწრო.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — ჯეკი ჯოინერ-კერსი, მარჯვნივ — ბენ ჯონსონი.



**საქართველოს სპორტსახკომის საწარმოო კომბინატი 1988 წლიდან თბილისის მოსახლეობასა და მის სტუმრებს სთავაზობს ფასიან მომსახურებას ნაღდ ანგარიშზე. კომბინატს თქვენ შეგიძლიათ შეუკვეთოთ ახალი ბურთების, სპორტული ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის სპორტული კოსტიუმების, ქარღამცავი კოსტიუმების, სპორტული ტრუსების დამზადება ან ზემოჩამოთვლილი ნაწარმის შეკეთება (შეიძლება ყველა სახის ბურთის დაზიანებული კამერის გამოცვლაც).**

**ჩვენი მისამართია: თბილისი ყიფშიძის ქუჩა № 17 ტელ. 22-57-98.**

**კომბინატის დირექცია.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07300